პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 205 (2925) ● კვირა, 17 ოქტომბერი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

## გუშინ...

თბილისის ველოტრეკზე გრძელდება საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. ჩემპიონატის მეორე დღეს გაიმართა გიტები და ვაჟთა გუნდური რბოლა 4 კილომეტრზე.

500 მეტრზე ადგილიდან გიტში ქალთა შორის სტარტი აიღო 11 მონაწილემ. პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად ორ დინამოელს — კ. კალინინასა და ლ. სტაშევსკაიას შორის გაიმართა. კალინინამ უკეთესი დრო აჩვენა (41,3) და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებაც დაისაკუთრა. თანაკლუბელს მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა სტაშევსკაია. III ადგილი წილად ხვდა „ბურევესტნიკის" წარმომადგენელს ს. მიაჩკოვას — 44,0.

„დინამოს" ველოსიპედისტთა უპირატესობით აღინიშნა ვაჟთა გიტიც 1000 მეტრზე ადგილიდან. აქ პირველი იყო ე. მელკოვი, რომელმაც დისტანციის გავლას 1.14,5 მოანდომა. II ადგილზეა ვ. ასკურავა („შრომითი რეზერვები"), III — ვ. ფეტისოვი („დინამო").

ვაჟთა 4-კილომეტრიან გუნდურ რბოლაში პირველი 3 ადგილი ასე განაწილდა: I. „ბურევესტნიკი" — 5.06,5, II. „დინამო" — 5.08,4, III. „სპარტაკი" — 5.13,6.

ორი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ დინამოელები (22 ქულა). შემდეგ არიან „შრომითი რეზერვები" (15), „ბურევესტნიკი" (14) და „სპარტაკი" (9).

ჩემპიონატი დღეს დამთავრდება.

## ი. დიაჩკოვი — სსრ კავშირის ჩემპიონი

ალმა-ათა, 16 ოქტომბერი. სსრ კავშირის მძლეოსანთა პირველობაზე ათჭიდელთა ასპარეზობაში გაიმარჯვა თბილისელმა ი. დიაჩკოვმა, რომელმაც საკმაოდ მაღალი შედეგი — 7519 ქულა დააგროვა და 104 ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს.

## პრეტენდენტის უპირატესობით

რიგა, 16 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს გაიმართა მსოფლიო პირველობაზე მატჩის X პარტია ნ. გაფრინდაშვილსა და ა. კუშნირს შორის.

პარტია გადაიდო კუშნირისათვის ზედმეტი ხარისხითა და მოგების შანსებით. 41-ე სვლა ჩაიწერა პრეტენდენტმა.

აი, გადადებული პოზიცია: თეთრები (გაფრინდაშვილი) მფc2, ეe4, მd2, პ-ები b2, c3, f3, g6. შავები (კუშნირი) მფe7, ეa1 და d1, პ-ები a4, e6, f6, g7.

## გ. კოსტავას „ოქრო"

მეხიკო, 16 ოქტომბერი. აქ, სპორტის საერთაშორისო კვირეულის შეჯიბრებებში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია დაშნით მოფარიკავე თბილისელმა გურამ კოსტავამ. ფინალში 7 ბრძოლიდან მან 6 მოიგო და ოქროს სამახსოვრო მედალიც მოიხვეჭა.



სურათზე: ო. ფხაკაძე ფინიშის სწორზე უკან იტოვებს მ. გაგნიძეს. ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

## რეკორდები...

მიტიშჩი, 16 ოქტომბერი. ტყვიით სროლაში საკავშირო ჩემპიონატის დღევანდელი ასპარეზობა სსრ კავშირის ახალი რეკორდით აღინიშნა. რსფსრ-ს ქალთა გუნდმა (ვ. პოდოპლიოლოვა, ნ. სტოლიაროვა და მ. ჟილინა) მცირეკალიბრიანი სწრაფმსროლი პისტოლეტით 25 მეტრიდან ხუთ სილუეტზე სროლაში დააგროვა 1746 ქულა, რაც 2 ქულით აღემატება ძველ რეკორდს. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა კიეველმა ს. ტიაგნიიმ, რომელმაც გაიმეორა სსრ კავშირის რეკორდი 589 ქულა. ამ ვარჯიშში ვაჟთა შორისაც იმარჯვეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი პირველად გახდა მოსკოველი ს. ფრანცევსკი, რომლის შედეგი — 594 ქულა 1 ქულით აღემატება ოლიმპიურ რეკორდს.

ლაიპციგი. მსროლელთა აქ მიმდინარე შეჯიბრებაში თ. შვანენბერგერმა (გდრ) გაიმეორა უნგრელი ლ. ჰამერლის მსოფლიო რეკორდი მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლელა სროლაში — 597 ქულა 600-დან.

## დანიის დედაქალაქში...

კოპენჰაგენი, 16 ოქტომბერი. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა დაასახელა გუნდის შემადგენლობა, რომელიც ხვალ ითამაშებს დანიელთა წინააღმდეგ: იაშინი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, ხურცილავა, დანილოვი, ვორონინი, საბო, მეტრეველი, მალაფეევი, ბანიშევსკი, ხმელნიცკი.

## ორი ტაიმი — ორი პოლუსი

მოსკოვის ნორჩი ფეხბურთელები თბილისში კონკრეტული ამოცანით ჩამოვიდნენ. „სიჭაბუკის თასის" ფინალურ ჯგუფში გასასვლელად მათ საშიშ მასპინძლებთან მატჩი არ უნდა წაეგოთ 2 ბურთის სხვაობით. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში ისინი საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის უფლებას ინარჩუნებდნენ.

„დინამოს" სტადიონზე გამართული შეხვედრის პირველი ნახევრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოსკოველ ფეხბურთელებს ამ ამოცანის შესრულების ძალზე უმნიშვნელო შანსები ჰქონდათ. მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და თამაში სასურველი ტაქტიკური ნახაზით წარმართეს. გოლი, რომელიც თბილისელებმა მე-12 წუთზე გაიტანეს, მათი უპირატესობის ლოგიკური დაგვირგვინება იყო. ცენტრალური თავდამსხმელი მიქაშავიძე მარცხენა ფლანგზე ოსტატურად გაექცა მოსკოველ მცველებს და ბურთი ზუსტად კარის გასწვრივ ჩააწოდა. აქ თბილისის გუნდის თავდამსხმელებს „დაასწრო" ჩუმაკოვმა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

მეორე ნახევარში ძალთა შეფარდება დიამეტრალურად შეიცვალა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს თბილისელები ერთიანად გამოცვალესო. უპირატესობა მთლიანად სტუმრების მხარეს გადავიდა. 52-ე წუთზე მოსკოველთა მარცხენა ცენტრფორვარდმა გერშკოვიჩმა, რომელიც ამ დღეს უდავოდ უძლიერესი იყო მინდორზე, საპასუხო ბურთი გაიტანა.

ანგარიში 1:1 შეხვედრის ბოლომდე არ შეცვლილა.

„სიჭაბუკის თასის" ფინალში მოსკოვის ნორჩ ფეხბურთელებთან ერთად გავიდნენ ლენინგრადის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ბელორუსიის გუნდები და რსფსრ-ს I ნაკრები.

### ფეხბურთი

#### მოყვარულთა საყურადღებოდ

დღეს კოპენჰაგენში გაიმართება მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და დანიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. ამ შეხვედრის ტელეგადაცემა დაიწყება 16 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

რადიორეპორტაჟიც იმავე დროს დაიწყება.

### „ა" კლასი

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. ადგილობრივმა „დინამომ" დღეს აქ დაამარცხა ოდესის „ჩერნომორეცი" — 2:0. ბურთები გაიტანეს ვშივცევმა და ავრუცკიმ.

### „ბ" კლასი

გურჯაანი, 16 ოქტომბერი (ტელეფონით). დღეს აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ალაზანმა" მიიღო კიროვაკანის „ლორი". გურჯაანელებმა კარგად ითამაშეს და ორივე ტაიმის განმავლობაში დაჯაბნეს მეტოქე. მოწინააღმდეგის კარში მათ 2 ბურთი გაიტანეს, ხოლო თავისაში არც ერთი არ მიუღიათ.

რუსთავი, 16 ოქტომბერი (ტელეფონით). დღეს აქ გაიმართა კალენდარული მატჩი ადგილობრივ „მეტალურგსა" და ტყიბულის „მეშახტეს" შორის. საინტერესო და დაძაბული ბრძოლა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 3:2.



ამ სპორტსმენმა უკვე დაამთავრა ერთი უმაღლესი სასწავლებელი — ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, მაგრამ სწავლის წყურვილმა მეორის კართან მიიყვანა. ახლა გალინა ბერიძე უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტია.

მაგრამ სწავლის სიყვარულს გალინას არც მეორე დიდი გატაცება — სპორტით გატაცება დაუჩრდილავს. იგი დაუღალავად განაგრძობს წვრთნას საყვარელ სახეობაში — მხატვრულ ტანვარჯიშში. და აი, შედეგებიც: გ. ბერიძე სპორტის ოსტატია და საქართველოს ნაკრების წევრი.

სურათზე: იცნობდეთ — გალინა ბერიძე.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

◆ ალმა-ათა, 16 ოქტომბერი. სსრ კავშირის მძლეოსან ვაჟთა ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა კიეველმა ვ. ანისიმოვმა. 400 მეტრზე თარჯრბენში მან აჩვენა 49,5. წლეულს ეს სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში, ხოლო ევროპაში ჯერ არც ერთ მძლეოსანს (გარდა მსოფლიოს რეკორდის თანაავტორის, იტალიელ ს. მორალესი) არ მიუღწევია ესოდენ მაღალი შედეგისათვის. აქაურმა მაყურებელმა მქუხარე ოვაციები მოუწყო თანამემამულე ა. ტუიაკოვს, როცა მან 200 მ 20,6-ში გაირბინა და თავისივე საკავშირო რეკორდი გაიმეორა. უბრუმელოდ სიმაღლეზე ხტომამ რამდენადმე შეანელა ინტერესი ასპარეზობისადმი, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სამივე პრიზიორმა საკმაოდ მაღალი შედეგი უჩვენა. გაიმარჯვა ა. ხმარსკიმ (ოდესა) — 213 სმ. მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ა. ტრუსენიოვი შეუდარებელი იყო ბადროს ტყორცნაში — 57,42 მ, ხოლო ახალგაზრდა მ. გორელოვი პირველად გახდა ჩემპიონი მარათონულ რბენაში — 2:27.45,6.

◆ კოპენჰაგენი, 16 ოქტომბერი. დანიის დედაქალაქის საჭადრაკო კლუბის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა 10 ტური. X ტურში საბჭოთა დიდოსტატებმა სუეტინმა და ტაიმანოვმა ერთმანეთს შორის პარტია ყაიმით დაასრულეს. ახლა სუეტინს 7,5 ქულა აქვს და შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია. 7-7 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან გლიგორიჩი, ტაიმანოვი და ლარსენი. ამ უკანასკნელმა ბოლო სამ ტურში სამი გამარჯვება იზეიმა ზედიზედ. მან მოუგო თანამემამულეებს — ჰამანსა და იაკობსენს და იუგოსლაველ გლიგორიჩს.

◆ სანტ-იაგო, 16 ოქტომბერი. ჩილის დედაქალაქში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი — „ხალხთა ძმობა", რომელშიც არგენტინის, კოლუმბიის, კუბის, პერუსა და ჩილის 14 მოჭადრაკე და აგრეთვე საბჭოთა დიდოსტატები ვ. სმისლოვი და ე. გელერი მონაწილეობენ. 3 ტურის შემდეგ ლიდერობს სმისლოვი. მან მოუგო პერუელ ო. კვინონესს, არგენტინელ კ. ბელიცკის და ყაიმით ითამაშა ჩილიელ რ. ლეტელიესთან. გელერმა დაამარცხა არგენტინელი გ. პილნიკი, ხოლო ორი პარტია გადადო უკეთეს პოზიციაში.

◆ რიო-დე-ჟანეირო, 16 ოქტომბერი. ძიუდოისტთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში იაპონელი მოჭიდავეების წარმატებით აღინიშნა ასპარეზობა საშუალო წონაში (საბჭოთა ათლეტები ამ წონაში არ გამოსულან). ოქროს მედალი მოიპოვა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ი. ოკანომ, რომელმაც ფინალში 2 წუთსა და 22 წამში წმინდად დაამარცხა თანამემამულე კ. იამანაკი. ეს ათლეტები 22 წლისანი არიან, ორივე ტოკიოელი სტუდენტია. ოკანომ შარშან ძიუდოისტთა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. ნახევარფინალში ოკანომ და იამანაკიმ სძლიეს ტოკიოს „ბრინჯაოს" მფლობელებს: პირველმა — სამხრეთკორეელ კიმ ევი ტაეს, მეორემ — ამერიკელ ჯ. ბრეგმენს. დღეს „მარაკანზინოს" დარბაზში გამოდიან მსუბუქი წონის მოჭიდავენი, მათ შორის — მოსკოველი ო. სტეპანოვი.

# 1965 წლის რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი

## IV კვარტალი

### აკრობატიკა

1. თბილისის ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა. **25 ოქტომბერი. თბილისი.**
2. „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **18-21 ნოემბერი. თბილისი.**
3. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ნოემბერი. თბილისი.**

### ალპინიზმი

1. თბილისის პირად-გუნდური პირველობა. **ოქტომბერი. ყაზბეგი.**

### კალათბურთი

1. თბილისის საკლუბო პირველობა. **ოქტომბერი-ნოემბერი. თბილისი.**
2. თბილისის ჭაბუკთა პირველობა. **ოქტომბერი. თბილისი.**
3. შეჯიბრება კონსტიტუციის თასზე. **25 ნოემბერი-5 დეკემბერი. თბილისი.**
4. სსრ კავშირის 1966 წლის პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის, ვაჟები: I ჯგუფი — **რიგასა და კაუნასში;** II ჯგუფი — **ერევანსა და ლუგანსკში.** ქალები: I ჯგუფი — **ნოვოსიბირსკსა და კაუნასში;** II ჯგუფი — **კიშინიოვსა და ლენინგრადში. 21-27 დეკემბერი.**

### თავისუფალი ჭიდაობა

1. თბილისის ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა. **26-28 ოქტომბერი. თბილისი.**
2. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა (პირველთანრიგოსანთა შორის). **25-28 ოქტომბერი. თბილისი.**
3. „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **ოქტომბერი. კასპი.**
4. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. **ოქტომბერი. თბილისი.**
5. „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ნოემბერი-დეკემბერი. თბილისი.**
6. თბილისის პირადი პირველობა. **19-21 ნოემბერი. თბილისი.**
7. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **26-29 ოქტომბერი. რუსთავი.**
8. „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **13-16 ნოემბერი. თბილისი.**
9. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. **22-26 დეკემბერი. ტალინი.**

### კლასიკური ჭიდაობა

1. თბილისის ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა. **23-25 ოქტომბერი. თბილისი.**
2. „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **18-21 ოქტომბერი. მახარაძე.**
3. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. **19-21 ოქტომბერი. თბილისი.**
4. „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ნოემბერი. თბილისი.**
5. თბილისის პირადი პირველობა. **1-3 ნოემბერი. თბილისი.**
6. „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **9-12 ნოემბერი. თბილისი.**
7. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **18-21 ნოემბერი. ბათუმი.**
8. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. **15-19 დეკემბერი. სარატოვი.**

### სამბო

1. საქართველოს პირველობა. **21-24 ოქტომბერი. კასპი.**
2. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **28-31 ოქტომბერი. თბილისი.**
3. „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ნოემბერი-დეკემბერი. თბილისი.**
4. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა (პირველთანრიგოსანთა შორის). **15-19 ნოემბერი. თბილისი.**
5. მონაწილეობა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა პირად პირველობაში. ზონალური შეჯიბრებები **კიშინიოვში, ალმა-ათაში, სვერდლოვსკსა და ბაქოში. 18-21 ნოემბერი.** ფინალური შეჯიბრებები **პერმში. 9-12 დეკემბერი.**

### ქართული ჭიდაობა

1. თბილისის აბსოლუტური პირველობა. **29-31 ოქტომბერი. თბილისი.**
2. საქართველოს აბსოლუტური პირველობა. **14-17 ნოემბერი. თბილისი.**
3. თბილისის პირველობა რაიონების ნაკრებ გუნდებს შორის. **19-22 ნოემბერი. თბილისი.**

### კრივი

1. თბილისის „ღია რინგი". **ოქტომბერი.**
2. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **20-23 ოქტომბერი. თბილისი.**
3. მონაწილეობა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ახალგაზრდულ საკავშირო პირად პირველობაში. **22-29 ოქტომბერი. კაუნასი.**
4. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში (ახალგაზრდებს შორის). წინასწარი შეჯიბრებები **ბაქოსა და ტალინში. 17-21 ნოემბერი.** ფინალური ტურნირი **კიევში. 16-20 დეკემბერი.**

### ბადმინტონი

1. თბილისის პირადი პირველობა. **ოქტომბერი. თბილისი.**

### საგზატკეცილო ველორბოლა

1. თბილისის ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა. **22-24 ოქტომბერი. რუსთავის გზატკეცილი.**
2. თბილისის თასი. **ოქტომბერი. რუსთავის გზატკეცილი.**
3. „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ნოემბერი. სოხუმი.**
4. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ოქტომბერი-ნოემბერი. თბილისი.**
5. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. **4-5 დეკემბერი. სოხუმი.**

### ფრენბურთი

1. „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **დეკემბერი. თბილისი.**
2. კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება. **5 დეკემბერი. თბილისი.**

### სპორტული ტანვარჯიში

1. „შრომითი რეზერვების" პირველობა. **21-23 ნოემბერი. თბილისი.**
2. უმაღლესი სასწავლებლების პირველობა. **ოქტომბერი-ნოემბერი. თბილისი.**
3. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. **19-26 ნოემბერი. მოსკოვი.**

### მხატვრული ტანვარჯიში

1. თბილისის პირველობა. **3-4 დეკემბერი. თბილისი.**
2. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ნოემბერი-დეკემბერი. თბილისი.**
3. საქართველოს პირველობა. **20-23 დეკემბერი. თბილისი.**
4. მონაწილეობა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. **12-13 ნოემბერი. ერევანი.**

### აკადემიური ნიჩბოსნობა

1. თბილისის ალმასკომის თასის გათამაშება. **25-26 ოქტომბერი. თბილისი.**

### საბაიდარო ნიჩბოსნობა

1. საქართველოს პირველობა. **23-24 ოქტომბერი. თბილისი.**

### მძლეოსნობა

1. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **1-3 ნოემბერი. თბილისი.**
2. თბილისის კროსი. **31 ოქტომბერი.**
3. „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ოქტომბერი. თბილისი.**
4. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ნოემბერი. თბილისი.**
5. მონაწილეობა ახალგაზრდობის საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში. **22-24 ოქტომბერი. თბილისი.**
6. რესპუბლიკის პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი. **19 ოქტომბერი. თბილისი.**
7. მონაწილეობა საკავშირო მასობრივ პროფკავშირულ-კომკავშირულ კროსში. **24 ოქტომბერი. ვილნიუსი.**

### ლელო

1. საქართველოს პირველობა. **23-30 ოქტომბერი. მახარაძე.**

### წყალში ხტომა

1. საქართველოს პირველობა. **ოქტომბერი. თბილისი.**

### ცურვა

1. შეჯიბრება თბილისის სპორტკავშირის პრიზზე. **25-27 ოქტომბერი. თბილისი.**
2. „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **25-27 ოქტომბერი. თბილისი.**

### სასტენდო სროლა

1. თბილისის თასი. **23-24 ოქტომბერი. თბილისი.**
2. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **1-4 ნოემბერი. ბათუმი.**
3. „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **19-22 ნოემბერი. მახარაძე.**
4. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **20-21 ნოემბერი. თბილისი.**

### ტყვიით სროლა

1. თბილისის პირველობა. **2-5 ნოემბერი. თბილისი.**
2. „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **დეკემბერი. თბილისი.**

### ჩოგბურთი

1. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **25-30 ოქტომბერი. თბილისი.**
2. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **10-22 ნოემბერი. თბილისი.**

### მაგიდის ჩოგბურთი

1. თბილისის თასი. **ნოემბერი.**
2. კონსტიტუციის სახელობის თასი. **დეკემბერი. თბილისი.**
3. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ოქტომბერი. თბილისი.**

### ხელბურთი

1. კონსტიტუციის თასი. **30 ოქტომბერი. თბილისი.**
2. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **15-25 ნოემბერი. თბილისი.**

### ძალოსნობა

1. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **1-3 ნოემბერი. თბილისი.**
2. თბილისის თასი. **12-14 ნოემბერი. თბილისი.**
3. „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა. **28 ნოემბერი. თბილისი.**
4. „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ნოემბერი. თბილისი.**
5. თბილისის ახალგაზრდული პირველობა. **17-19 დეკემბერი. თბილისი.**
6. საქართველოს თასი. **27-28 ნოემბერი. თბილისი.**
7. მონაწილეობა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა პირველობაში. **21-26 დეკემბერი. მინსკი.**

### ფარიკაობა

1. საქართველოს თასი. **20-24 ნოემბერი. ქუთაისი.**
2. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **ნოემბერი. თბილისი.**
3. მონაწილეობა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. **9-13 დეკემბერი. ორჯონიკიძე.**

### შაში

1. თბილისის ნახევარფინალი. **ოქტომბერი. თბილისი.**

### ციგურებით ფიგურული სრიალი

1. თბილისის პირველობა. **12-14 ნოემბერი. თბილისი.**
2. მონაწილეობა ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაში (1947-48 წ.წ. დაბადებულნი). **1-7 დეკემბერი. კაუნასი.**

## მასობრიობა მიღწევათა საფუძველია

თეთრი წყაროს რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის II პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა და 2. „კოლმეურნის" ფიზკულტურის კოლექტივებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

ამ საკითხების ირგვლივ პლენუმმა მოისმინა თეთრი წყაროს განათლების განყოფილების ინსპექტორის გ. პაპუაშვილის და „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარის ს. შატვაროვის მოხსენებები.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ: თეთრიწყაროს საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე ბ. ივანოვი, თეთრიწყაროს სადაბო საბჭოს თავმჯდომარე ი. ფრიდინსკი, სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურის მასწავლებელი თ. ხუციშვილი, რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. შამანიდი, რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. წამალაშვილი, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი მ. დალაქიშვილი, სპორტკავშირის თავმჯდომარე შ. ოქრიაშვილი და სხვ.

მიღწევებთან ერთად პლენუმზე ლაპარაკი იყო იმ ნაკლოვან მხარეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლად ახასიათებს რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში, მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში. განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმ არანორმალურ გარემოებას, რომ სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობენ ერთი და იგივე მოსწავლე სპორტსმენები, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ ფიზიკური კულტურის მასობრიობისათვის.

ბევრი საყვედური გამოითქვა ასურეთის, ჯორჯიაშვილის, ბორბალოს, ირაგის და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა მიმართ, რომლებიც არავითარ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ ფიზკულტურის კოლექტივებს სპორტის დანერგვა-განვითარებაში.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საკოლმეურნეო, საწარმო-დაწესებულებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წარმომადგენლებმა.

**ო. ჩიკლაური,**
*თეთრი წყაროს ალკკ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.*

## კარგი შეჯიბრება

შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში გორის პირად პირველობაზე, რომელიც აქ ორ დღეს გრძელდებოდა, თავისი მასშტაბით თუმცა დიდი არ ყოფილა, მაგრამ მისმა კარგმა ორგანიზაციამ საკმაოდ ბევრი მაყურებელი მოიყვანა დარბაზში.

სარბიელზე იბრძოდნენ ქალაქის თითქმის ყველა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის წარმომადგენლები, სულ 60-მდე სპორტსმენი.

შეჯიბრებამ, რომელსაც სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გ. პაპიტაშვილი სჯიდა, გამოავლინა უძლიერესები. თავიანთ წონებში ქალაქის ჩემპიონები გახდნენ: ი. ჩუხრუკიძე, გ. ბერიაშვილი, ი. იმერლიშვილი, ს. ბახტაძე, ვ. ბორჩაშვილი, ი. ბითაროვი, ა. გაზაშვილი და ნ. ყაჩმაზაშვილი.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

გორი.

## ახალი ამბები

● **ვარშავა, 15 ოქტომბერი.** აქ, ორ ხიდს შორის მდებარე წრიულ ტრასაზე, გაიმართა 90-კილომეტრიანი საერთაშორისო ველორბოლა, მიძღვნილი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის VI მსოფლიო კონგრესისადმი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბელგიის, იტალიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის 75 ველოსიპედისტი. რბოლის მიწურულში წინ გაიჭრა იტალიელი რობერტო მალინი და გაიმარჯვა. მან მაღალი საშუალო სისწრაფე (43,9 კმ საათში) აჩვენა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესომ — გორკელმა ა. კულიბინმა დაიკავა XVI ადგილი.

● **ბაქო, 15 ოქტომბერი.** ლვოვში ორი წაგების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ რუმინეთის ხელბურთელი ქალები. მათი შეხვედრა სსრ კავშირის უძლიერესი ხუთეულის წევრთან — ადგილობრივ „სპარტაკთან" დამთავრდა ფრედ — 11:11.

● **მიტიშჩი, 15 ოქტომბერი.** საერთაშორისო კლასის ოსტატის შედეგი უჩვენა სსრ კავშირის პირველობაზე სროლაში ლენინგრადელმა ე. დონსკაიამ. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში მან 3 მდგომარეობიდან დააგროვა 576 ქულა და ჩემპიონის ოქროს მედალიც დაისაკუთრა. სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა საბრძოლო სტანდარტზე 3×40 სროლაში რსფსრ-ს გუნდის წევრმა, არმიელმა ს. რიჟაკოვმა. მან 1156 ქულა დააგროვა და ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდს 3 ქულით გადააჭარბა.

● **მეხიკო, 15 ოქტომბერი.** აქ დიდი ინტერესით მიმდინარეობს სპორტის საერთაშორისო კვირეული. მალე ასპარეზობაში ჩაებმებიან მოცურავეებიც. ფრანგი მოცურავეები, რომლებმაც მეხიკოს წინ წვრთნა გაიარეს პირენეიში მდებარე სპორტულ ბაზაზე, ორკილომეტრიან სიმაღლეზე თავს კარგად გრძნობენ, მაგრამ ისინი მაინც უკმაყოფილონი არიან. „წყალი აუზში ისეთი ცივია, რომ პირდაპირ კბილებს მაცემინებს, — თქვა ერთ-ერთმა მოცურავემ. — აქ იმდენს ვერ იცურავებ, რამდენსაც შენ".

## ხარ…

„ლელო" უკვე იუწყებოდა სხ… ათაში) პირველი დღის მთავარ ა… რეკორდს (5 მ) ჭოკით ხტომაში, … მაგრამ მკითხველებმა არ იციან … ოვანესიანის დასაჩუქრებისას ჩვეუ… ლით ჯილდოვდება ჩვენი ქვეყნის … ძინა: „თავის ამ ოქროს მედალს … გობარს, მსოფლიოს რეკორდსმენს … ტრავმამ სპორტსმენთა რიგებს გა… ვალური დაუბრუნდება სპორტს!"

მთელი სტადიონი ფეხზე წამოდ…

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხურათზე: ცენტრალური ჯანღა.
ფოტო თ. ბერიშვილისა.

# უძნელესი გზით

ზანაკ „აილამადან" მძიმედ დატვირთული ცხენებით გაუდგა გზას „განთიადის" მთამსვლელთა ჯგუფი, ზაგაროს გადასასვლელი გადაიარა და 4 საათის შემდეგ ციხე-კოშკებით შემოჯარულ სოფელ უშგულს დაადგა თავს. აქ ჯგუფმა შეიტყო, რომ კალა—უშგულის გზა საგრძნობლადაა დაზიანებული და მასზე გავლა არ შეიძლებაო. იძულებული გახდნენ ალპური საძოვრებით ევლოთ. მოლაშქრეებს ხანდახან ცხენებიდან ბარგის მოხსნა და ზურგით გადატანა უხდებოდათ. ორი დღის შემდეგ ჯგუფმა წვალებით მიაღწია სოფელ ხალდეს, იმავე საღამოს გადავიდა ხალდეს მყინვარზე და ცენტრალური ჯანღის ძირში დაბანაკდა.

...ქვევით გაშლილი ხეობის თავზე კავკასიონის ბუმბერაზები — შხარები, ჯანღები, რუსთაველი, კატინი, ლაქუცა და სხვა მწვერვალებია წამომართული. მთამსვლელებმა მათ „კავკასიონის პრეზიდიუმი" უწოდეს.

მწვერვალებიდან ჩამოსული კლდეები ვერტიკალურად ეშვებიან მყინვარზე. 1957 წელს ქართველმა მთამსვლელებმა გ. გულბანის ხელმძღვანელობით დაიპყრეს კედლით ალმოსავლეთი ჯანღა. 1958 წელს დ. ობოლაძის ჯგუფმა დასავლეთ შხარის სამხრეთ-დასავლეთი კედელი დალაშქრა. 1960 წელს კი ო. ხაზარაძის ჯგუფმა დასავლეთ ჯანღის სამხრეთის კედლით განახორციელა ასვლა.

დარჩენილი იყო ცენტრალური ჯანღის სამხრეთის კედელი, რომლის დასაპყრობად „აილამადან" წასული მთამსვლელები გ. ქართველიშვილი (ხელმძღვანელი), ბ. და ნ. ბაქრაძეები, თ. ბაქანიძე, დ. შარაშენიძე, თ. ბერიშვილი (ძირითადი ჯგუფი), რ. და ლ. ჯაფარიძეები (დამხმარე ჯგუფი) — დაბანაკდნენ.

ცენტრალური ჯანღის კედელი ხალდეს მყინვარიდან 2.100 მეტრის სიმაღლეზეა აზიდული. მის მრისხანე კლდეებს „დარაჯობენ" ვერტიკალური კლდეები და მყინვარები. შავი ზღვის სანაპიროდან წამოსული ღრუბლები მწვერვალს ეხვევიან და წლის უმეტეს დროს ჯანღით ფარავენ მას (სახელწოდებაც აქედანაა).

ჯგუფის რთული არჩევანი დაზვერილ იქნა. წინასწარ მონაცემებში შევიტანეთ შესწორება. ვარაუდით აღინიშნა ღამისთევის ადგილები და ჯგუფი მოემზადა მწვერვალ რუსთაველზე წინასწარი ასვლისთვის. ეს ლაშქრობა რუსთაველის საიუბილეო დღეებს მიეძღვნა.

ცუდი ამინდის მიუხედავად, თოვლსა და ქარბუქთან 3 დღის ჭიდილის შემდეგ ჯგუფმა დაიპყრო მწვერვალი რუსთაველი და საბაზო საიერიშო ბანაკში დაბრუნდა.

ამინდი საგრძნობლად გაუარესდა. ჯანღის კედლები ღრუბლებით დაიფარა და მათი დაძლევაც წარმოუდგენელი გახდა. და მაინც, მოიერიშე ჯგუფი—გ. ქართველიშვილი, ბ. და ნ. ბაქრაძეები, თ. ბაქანიძე, დ. შარაშენიძე და თ. ბერიშვილი დაიძრნენ ჯანღის დასაპყრობად.

მოიერიშენი ყინულოვანი მიმადგომებით მიადგნენ ურთულეს კედელს.

...მთამსვლელები ნელა მიიწევენ წინ, კედლებში კლდის პალოებს აჭედებენ, რთული კლდეებიდან თოვლ-ყინულოვან ფერდობზე გადადიან, რომელიც ზევით ალმართულ ბასტიონებს უერთდება. კედლები თანდათან რთულდება. ხშირად რამდენიმე მეტრის გავლას საათებს უნდებიან. საღამოთი კი ისინი კედლებში კლდის პალოებს აჭედებენ, დამხმარე მეთვალყურე ჯგუფს სინათლით აცნობებენ თავიანთ ადგილსამყოფელს და მშვიდობით ყოფნას.

საბედნიეროდ, შემდგომში ამინდმა ხელი შეუწყო მოიერიშეებს. 6-დღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ ჯგუფმა ცენტრალური ჯანღის უმაღლეს წერტილს (5049 მ) მიაღწია.

ჯანღის კედლის დაპყრობით აღნიშნულმა ჯგუფმა სასიმაღლო-ტექნიკური საკავშირო საკონკურსო ასვლა განახორციელა.

**დ. ოზოლაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი, გუნდის მწვრთნელი.**

# ჩემპიონის მძიმე ამოცანა

### X პარტია

ამ პარტიით დამთავრდა მატჩის პირველი ნახევარი. თეთრებით თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონი ვ. შჩოგოლევი. ყოველ პარტიაში ადგილი აქვს ნაკლებად შესწავლილი გაგრძელებების არჩევას. ამ ტრადიციას ვერც ეს პარტია გაექცა, ოღონდ მეტოქეებმა ამჯერად როლები შეცვალეს. ბოლო პარტიებში მსოფლიოს ჩემპიონი თავის ძალებს ცენტრში უყრის თავს, ხოლო პრეტენდენტი — ი. კუპერმანი მტკიცედ იცავს ფლანგურ სტრატეგიას.

ამჯერად კუპერმანი თანმიმდევრულად და მეთოდურად მაგრდება ცენტრში და იქმნება შთაბეჭდილება, რომ შჩოგოლევის ფლანგური სტრატეგია მარცხით დამთავრდება. შავების მდგომარეობა მართლაც ცუდი იყო, მაგრამ შჩოგოლევმა გამოამჟღავნა ბრწყინვალე ტაქტიკური ხედვა და ამ კრიტიკულ და რთულ სიტუაციაში შექმნა მრავალი კომბინაციური მუქარა, რის შედეგადაც მეტოქეებმა ცენტრალური პაიკები გაცვალეს და მდგომარეობა გათანაბრდა.

ენდშპილში ჩემპიონმა ინიციატივა ხელში აიღო, მაგრამ კუპერმანმა ზუსტი თამაშით ყაიმს მიაღწია.

### XI პარტია

დაიწყო მატჩის მეორე ნახევარი. რაყვაელის დებიუტის ჰოლანდიური ვარიანტი მეტოქეებმა სწრაფად გაითამაშეს და მიტელშპილში გადავიდნენ (ორივე ბანაკში ფლანგური პაიკებით). ამან მდგომარეობა გაამწვავა და საინტერესო ბრძოლის პირობები შექმნა. შჩოგოლევი (შავებით) ცდილობდა რაც უნდა დაჯდომოდა ანგარიშში სხვაობის შემცირებას, ზედმეტი რისკით თამაშობდა და პარტია გადაიყვანა ტაქტიკური გართულებების გზით.

კუპერმანმა უვნებელყო შავების მუქარები და გამოამჟღავნა მეტოქის სუსტი ადგილები.

28-ე სვლისთვის დაფაზე შეიქმნა პოზიცია, სადაც თეთრების გასვლა მარბიელში გარდუვალი იყო. ამის საკომპენსაციოდ შავების 3 პაიკი შექმნილ სიტუაციაში აშკარად არასაკმარო იყო. ბრძოლის ამ სტადიაში თეთრებმა საშუალება მისცეს მეტოქეს განეხორციელებინა კომბინაცია მარბიელში გასვლით და პარტია გადავიდა ენდშპილში კუპერმანისთვის ზედმეტი პაიკითა და აქტიური საფლანგო პაიკებით. ზუსტი თამაშით მან გამარჯვებას მიაღწია.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 7:4 პრეტენდენტის სასარგებლოდ. მსოფლიო ჩემპიონის წინაშე რთული ამოცანა დგას: დარჩენილ 9 პარტიაში მან 6 ქულა უნდა მოაგროვოს.

**თენგიზ ბარამიძე,**
**სპორტის ოსტატი.**

• • •

ვ. შჩოგოლევის ავადმყოფობის გამო გუშინ მატჩის XII პარტია არ შედგა.

# ის იცნობდა ვერა მენჩიკს

სიმბოლურია: გაფრინდაშვილ-კუშნირის მატჩის ექიმია გამოჩენილი ლატვიელი მოჭადრაკე მილდა ლაუბერტე, ერთადერთი საბჭოთა მოჭადრაკე ქალი, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა ეთამაშა მსოფლიოს პირველ ჩემპიონთან ვერა მენჩიკთან.

მილდა გულკეთილი, დაკვირვებული მკურნალია. ისევე შვენის ღიმილი, როგორც ყველა ექიმს. მილდას მზრუნველ სითბოს ვერც კუშნირის უქეიფობამ გაუძლო, თუმცა თითქმის ერთი კვირა ჯიუტობდა. ახლა პრეტენდენტი თავს ყოჩაღად გრძნობს, მატჩის ბოლომდე ალბათ აღარაფერი მოუვა. ლაუბერტე არ დაუშვებს ამას.

ღვაწლმოსილ მოჭადრაკეს ვთხოვე გაეხსენებინა ვერა მენჩიკთან შეხვედრები. სიამოვნებით დამთანხმდა.

— ვერა მენჩიკს ორჯერ შევხვედრივარ საჭადრაკო დაფასთან, ორივეჯერ — მსოფლიო პირველობაზე: პირველად — 1937 წელს, სტოკჰოლმში, მეორედ — 1939 წელს, ბუენოს-აირესში, — მომითხრობს მილდა. —პირველად დავმარცხდი, მეორედ კი თავად ვერამ შემომთავაზა ყაიმი. ეს იყო ბედნიერი დღე. სხვათა შორის, დაზავებაზე ხელმოწერილი პარტიის ჩანაწერი ახლაც მაქვს შენახული.

როგორი იყო მენჩიკი? ძალიან მშვიდი ბუნების, აუღელვებელი და უაღრესად კეთილი. მას ალალი ღიმილი ჰქონდა. მოჭადრაკეებში, ვაჟებშიც კი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

### წერილი რიგიდან

როცა ნონა გაფრინდაშვილს ვუყურებ, უნებლიედ ვერა მენჩიკი მაგონდება. მათში არის რაღაც საერთო. ჭადრაკი არა მაქვს მხედველობაში. თამაშის სტილით ისინი ძალიან განსხვავდებიან. ვერას დარბაისლური, მშვიდი ბრძოლა უყვარდა, ნონა კი, პირიქით, ბობოქარი, მძაფრი მოთამაშეა. მათში საერთოა სპორტული ჟინი, ჭადრაკის თავდავიწყებული სიყვარული და დაუოკებელი სწრაფვა აუცილებელი პირველობისაკენ.

როცა ნონა მაგიდის ჩოგბურთს თამაშობს (რასაკვირველია, გართობის ნიზნით), მის თვალებში შეუპოვარ მებრძოლს ვხედავ, რომელსაც მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. ასეთი იყო ვერაც.

1939 წელს ევროპიდან არგენტინაში საოკეანო ხომალდით ვმგზავრობდით. ზღვად თითქმის ორი კვირა დავყავით. ამ ხნის განმავლობაში ვერა კროკეტის მაგვარი თამაშით ისე იყო გართული, რომ არც კი უგრძვნია ატლანტის ოკეანის ვადაცურვის გრძელი პერიოდი.

მსგავსი გართობებისადმი ვერას ფანატიკური სიყვარული ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ის მსუქანი მანდილოსანი გახლდათ.

ჭადრაკსაც მთელი არსებით თამაშობდა. არც ფრთხილი ბუნებისა იყო, თუმცა მის პარტიებში იშვიათად შეხვდებით კომბინაციებს.

მეორე მსოფლიო ომი ახალი დაწყებული იყო, როცა არგენტინიდან ევროპაში დავბრუნდით. უკანასკნელად ვერა ანტვერპენში ვნახე. დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, მხოლოდ 59 წლისა იქნებოდა. იგი ომმა იმსხვერპლა: 1944 წლის ზაფხულს, ჰიტლერელთა მიერ ლონდონის ერთ-ერთი დაბომბვის დროს ტრაგიკულად დაიღუპა.

ჩემი აზრით, სწორია ის, ვინც წერს, რომ ნონა გაფრინდაშვილი ქალთა ჭადრაკის ისეთივე ბურჯია, როგორიც თავის დროზე "დაუვიწყარი" და კეთილი ვერა მენჩიკი იყო, — თქვა საუბრის დასასრულს მილდა ლაუბერტემ. — ნონა მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონია!

**თენგიზ გიორგაძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

# სათამაშების ცხრილი

მეორე ჯგუფი

I—XVI ადგილები

მდგომარეობა 17 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არარატი" (ერევანი) | 21 | 13 | 4 | 4 | 31—20 | 30 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 21 | 9 | 9 | 3 | 26—12 | 27 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 21 | 10 | 6 | 5 | 30—18 | 26 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 21 | 10 | 6 | 5 | 26—15 | 26 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 21 | 9 | 5 | 7 | 23—21 | 23 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 21 | 9 | 5 | 7 | 23—25 | 23 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 21 | 8 | 6 | 7 | 28—22 | 22 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 21 | 9 | 4 | 8 | 21—17 | 22 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 21 | 8 | 5 | 8 | 21—18 | 21 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 21 | 6 | 9 | 6 | 18—18 | 21 |
| „ვოლგა" (გორკი) | 21 | 8 | 4 | 9 | 22—26 | 20 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 21 | 7 | 6 | 8 | 17—23 | 20 |
| „თერგი" (გროზნო) | 21 | 8 | 3 | 10 | 28—30 | 19 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 21 | 4 | 6 | 10 | 8—20 | 14 |
| „დაუგავა" (რიგა) | 21 | 3 | 6 | 12 | 19—38 | 12 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 21 | 2 | 6 | 13 | 16—34 | 10 |

# გუშინწინ...

ქაიმართა „ა" კლასის II ჯგუფში I—XVI ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების მატჩები: „ვოლგა" (გორკი) — „ზარია" (ლუგანსკი) 1:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:0, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „დაუგავა" (რიგა) 1:2, „თერგი" (გროზნო) — „კარპატი" (ლვოვი) 3:1, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 2:3, „კაირატი" (ალმა-ათა) — „ავანგარდი" (ხარკოვი) 2:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 2:1.

ესტონეთი ტალინი

# ნამდვილი მეგობრობისა

...თა ჩემპიონატის (ალმა-...ბ[illegible] ზნეცოვის საკავშირო ახალ „ოქროს" და ა. შ. ...რაც დიქტორმა ი. ტერ-...არმოთქვა: „ოქროს მედ-...მან დააყოვნა და დას-...სცემს უახლოეს მე-...რომელიც ამჟამად მძიმე ...თაც ჩვენც გვწამს, რომ

...მოუწყო. ეს იყო ხარკი ნამდვილი მეგობრობისა და სპორტსმენის პატივისცემისა. ჩემპიონმა შემდეგ გვაჩვენა ბრძოლით მოპოვებული ოქროს მედალი. მასზე ამოკვეთილი იყო: „ვალერი ბრუმელს იგორ ტერ-ოვანესიანისაგან".

სხვათა შორის, ი. ტერ-ოვანესიანის შედეგი (818 სმ) ერთობ ახლოს იდგა ახალ საკავშირო რეკორდთან. და ეს რეკორდი იგორს პირველ ცდაშივე შეეძლო დაემყარებინა, რომ, სამწუხაროდ, უკან არ დაცემულიყო.

ვაჟთა ჩემპიონატის მეორე დღე ჭეშმარიტად ახალგაზრდული იყო: ხუთი ჩემპიონიდან სამი 25-ზე ნაკლები წლისაა.

3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში ლამაზად გაიმარჯვა 22 წლის კიეველმა ვ. კუდინსკიმ (8.41,4). 1.500 მეტრზე უძლიერესი თ. რაიკო 20 წლისაა.

ახალგაზრდა ესტონელი რკინიგზელის მატი ლალასთვის კი ყველაზე ბედნიერი წუთი ჯერ კიდევ დილის შეჯიბრებისას დადგა. 400 მ თარჯრბენში ერთ-ერთი წინასწარი გარბენის დროს „პატარა მატიმ", როგორც მას აქ უწოდებენ, ესტონეთის ახალი რეკორდით (52,3) გაიმარჯვა. ტარტუელმა ჭაბუკმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის სანუკვარი ნორმა!

და, ბოლოს, კოლექტიურ ჩემპიონზე. ლენინგრადელ მორბენალთა ოთხეულმა (ი. მლინოვი, ე. ოზოლინი, ბ. სავჩუკი და ნ. პოლიტიკო) 4×100 მ ესტაფეტაში 39,4 წამი აჩვენა! მსოფლიო მძლეოსნობის მთელი ისტორიის მანძილზე ასეთი შედეგი ეროვნული ნაკრების რანგზე ნაკლები ტიტულის მქონე გუნდს ჯერ არ უჩვენებია.

## გრენობლმა გამოაცხადა ვადები

გრენობლი (საფრანგეთი), 15 ოქტომბერი. 1968 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები აქ გაიმართება 5-18 თებერვალს. ეს ცნობა გუშინწინ გამოაცხადა „თეთრი ოლიმპიადის“ ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა პ. რანდემ.

ცალკეულ სახეობებში ასპარეზობის განრიგი ცოტა მოგვიანებით იქნება ცნობილი.

## სპორტი მოგზაურობს საზღვარგარეთ

## ასე ამზადებენ რეკორდსმენებს

ცურვაში ამერიკელი სპორტსმენების ჰეგემონია საქვეყნოდაა ცნობილი. მათ მსოფლიო რეკორდების უმრავლესობა ეკუთვნით. აშშ-ის მოცურავეებმა რომისა და ტოკიოს ოლიმპიადებზე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მეფური წილი დაისაკუთრეს. ამ ქვეყნის სპორტსმენებმა განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვეს ტოკიოს აუზში. მათ შინ ოქროს 17 მედალი წაიღეს, მაშინ, როცა ყველა დანარჩენმა მონაწილემ მხოლოდ 6 პირველი ადგილი მოიპოვა. ამას გარდა, აშშ-ის მოცურავეთა გუნდმა ამომავალი მზის ქვეყანაში ვერცხლისა და ბრინჯაოს 11 მედალი, ე. ი. ყველა ჯილდოს თითქმის ნახევარი დაისაკუთრა.

ეს წარმატებანი შემთხვევითი არ არის და, პირველ ყოვლისა, აიხსნება აშშ-ში აუზების დიდი რიცხვით, კარგი მწვრთნელების არსებობითა და ახალგაზრდობასთან სერიოზული მუშაობით. მაღალი კლასის მოცურავეთა მომზადება მასობრივი მასშტაბებით, გონივრულად და ორგანიზებულად წარმოებს. საკმარისია მოვიტანოთ შემდეგი ფაქტები.

ყოველწლიურად მოცურავეთა შეჯიბრებებში 500 ათასზე მეტი 6 წლისა და უფროსი ასაკის ბავშვი მონაწილეობს. აშშ-ში უამრავი საცურაო აუზია, რომლებიც საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა თუ კერძო პირებს ეკუთვნით. ამჟამად შტატებში ახალი მრავალსართულიანი სახლებიც კი საცურაო აუზებითურთ შენდება. აუზები თავსდება ან სახურავებზე, ან ეზოებში ეს მეტისმეტად კარგ პირობებს ქმნის ქვეყნად ცურვის განვითარებისა და სპორტის ამ სახეობაში ახალგაზრდობის მცირე ასაკიდანვე ჩაბმისათვის.

ამერიკული სამოყვარულო ათლეტური კავშირი წარმატებით ახორციელებს ასაკობრივ ჯგუფებად ახალგაზრდობისთვის ცურვის სწავლების პროგრამას. ამ პროგრამამ ჯერ კიდევ 12 წლის წინათ დაიწყო მოქმედება და მას ამერიკელი სპეციალისტები ოლიმპიურ თამაშებსა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მომავალი წარმატებების საწინდრად მიიჩნევენ.

ახალგაზრდობასთან აქტიური მუშაობა წარმოებს აგრეთვე ათასობით კერძო და საზოგადოებრივ კლუბში. ტარდება უამრავი შეჯიბრება, ინუსხება ქვეყნის, ამა თუ იმ შტატის, ადგილობრივი რეკორდები, ვითარდება მეტოქეობის სულისკვეთება.

უმცროსი ასაკის ბავშვები იყოფიან ჯგუფებში: 6 წელი და უმცროსი, 8 წელი და უმცროსი ასაკისა. მოზარდთა შორის შემდეგი ჯგუფებია: 10 წელი და უმცროსი, 11 და 12, 13 და 14, 15 და 17 წლების ასაკისა.

ყოველ ამ ჯგუფში ტარდება შეჯიბრებები და აღინუსხება შედეგები და რეკორდები. ასპარეზობა ეწყობა იმ აუზებში, სადაც წყლის ბილიკების ცნობილი ოსტატები გამოდიან. შეჯიბრებებს ზედამხედველობენ გამოცდილი მწვრთნელები და მსაჯები.

როგორც წესი, 6 წლისა და უმცროსი ასაკის პატარები 25 იარდს დაახლოებით 20 წამში ფარავენ. 15-17 წლის ასაკობრივ ჯგუფებში ჭაბუკები 50-იარდიან დისტანციას 22 წამში „ერევიან“. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე 28 ამერიკელი მოცურავე ქალიდან მხოლოდ 3 იყო 20 წელზე მეტი ხნისა, სამიც — 14 წელზე ნაკლებისა.

18 წლის დონ შოლანდერმა ტოკიოში ოქროს 4 მედალი დაისაკუთრა მაშინ, როცა მისი მეტოქეები სხვადასხვა ქვეყნიდან, როგორც წესი, 5-7 წლით უფროსნი იყვნენ. ამერიკელთა ოლიმპიური გუნდის ყველა წევრს გავლილი ჰქონდა პატარების, შემდეგ კი მოზარდთა მომზადების სკოლების ჯგუფებში მეცადინეობა.

„მოცურავეთა მომზადების პროგრამა ჩინებულად მიმაჩნია, — ამბობს დონ შოლანდერი. — სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მეცადინეობისას ნორჩი მოსწავლე მუდამ რაღაც ახალ აღწევს“.

პ. ვაშედჩენკო.

ვაშინგტონი.

## „ჩვენი მეთოდები მოძველდა“

„თუმცა ავსტრალიელი მოცურავეები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მსოფლიოს რამდენიმე რეკორდს და აშშ-სთან ერთად ცურვაში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის წარმომადგენლებად ითვლებიან, მაინც სულ უფრო ხშირად გაისმის კრიტიკული ხმები“. ასეთი დასკვნა გამოიტანა შვეიცარიის სპორტულმა გაზეთმა „შპორტმა“ (ციურიხი), რომელიც აქვეყნებს პოპულარული ავსტრალიელი მწვრთნელის ჰარი გალახერის მასალებს. გალახერი რამდენიმე კვირის განმავლობაში მოგზაურობდა ევროპასა და აშშ-ში, სადაც სწავლობდა მაღალი კლასის მოცურავეთა წვრთნის მეთოდებს.

რა დასკვნები გამოიტანა გალახერმა? „ჩვენ, სულ ცოტა, ორი წლით მაინც ჩამოვრჩით ამერიკასა და სხვა ქვეყნებს. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება მოცურავე-სპრინტერთა წვრთნის მეთოდებს. ჩვენს სპორტსმენებს, რომლებიც მოკლე მანძილებზე გამოდიან ზუსტად ისე ვავარჯიშებთ, როგორც ამას ორი წლის წინათ აკეთებდნენ ევროპასა და აშშ-ში. ამიტომ არაფერია საკვირველი, რომ იანკებმა მნიშვნელოვნად გადაგვაჭარბეს სპრინტში. ევროპის მოცურავეები ზუსტად ასევე, ნელა, მაგრამ დაბეჯითებითართმევენ ავსტრალიელებს ამ სახეობაში წამყვან პოზიციებს“.

შემდეგ ავსტრალიელმა მწვრთნელმა, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში ავარჯიშებდა საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს, თავისი აზრი გაშიფრა. „ეგრეთწოდებული ნელი ცურვა წვრთნის დროს, — ასკვნის იგი, — ყველგან მინიმუმამდე მცირდება. მეცადინეობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უჩვეულოდ მკვეთრ სპრინტს 100 და 200-მეტრიან დისტანციებზე. ამასთან, უნდა გავადიდოთ სტარტებს შორის პაუზები.

გალახერმა რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონებს დონ ფრეზერსა და ჯონ კონრადსს ავარჯიშებდა და ახალი ავსტრალიელი ვარსკვლავი მარლენ დაიმენი აღზარდა, ხაზი გაუსვა, რომ ყველა მისი მოწაფისთვის მეტად სასარგებლო იქნებოდა სხვა ქვეყნების მოცურავეებთან გამოცდილების გაზიარება, რასაც ავსტრალიაში არ იყენებდნენ. „მიღწევათა დონე და ჩვენი სპორტის პოპულარობა მნიშვნელოვნად მაშინ გაიზრდება, თუ ყოველწლიურად მოვაწყობთ კონტინენტთა ნაკრები გუნდების მატჩებს ცურვაში. ჩემი აზრით, საერთაშორისო ცურვა მეტად მოიგებდა იმითაც, რომ სხვადასხვა ქვეყანა რეგულარულად ცვლიდეს ერთმანეთს შორის მწვრთნელებს“.

# „უვარსკვლავებოდ“, მაგრამ იმედით...

ახალი „იარაღი“ — განსაკუთრებული სიძნელის ვარჯიშები მოამზადეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა სსრ კავშირისა და იაპონიის გუნდების მატჩისთვის, რომელიც დღეის სწორს გაიმართება. იაპონური „ულტრა-სისგან“ განსხვავებით, სპეციალისტები მათ „კოსმოსურს“ უწოდებენ. ეს ვარჯიშები წარმოდგენილი იქნება 20 და 21 ოქტომბერს კიევის ფიცარნაგზე, ხოლო 23 და 24 ოქტომბერს — მოსკოვის სპორტის სასახლეში. პირველ შეხვედრაში გამოვლინდება მრავალჭიდში გამარჯვებული გუნდი, აგრეთვე აბსოლუტური ჩემპიონი პირად ჩათვლაში. მოსკოვში ორი ქვეყნის ტანმოვარჯიშეები „ურთიერთობას გაარკვევენ“ ცალკეულ იარაღებზე. გამარჯვებულებს ელით ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამახსოვრო მედლები.

ამაზე იყო ლაპარაკი 15 ოქტომბერს საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებისთვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. ფროლოვმა ხაზი გაუსვა, რომ ამ მატჩის მნიშვნელობა სცილდება ორი ქვეყნის სპორტსმენთა შეხვედრის ფარგლებს და უეჭველია, ზემოქმედებას მოახდენს ტანვარჯიშის განვითარებაზე მთელს მსოფლიოში.

სტუმრები ამჟამად გზად არიან მოსკოვისკენ. იაპონიის ვაჟთა ნაკრებს სათავეში უდგას გამოცდილი სუძი ცურუმი, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიადაზე მრავალჭიდში ვერცხლის მედალი მოიპოვა. გუნდში არიან ოლიმპიადის მონაწილენი — ტაკასი მიცუკური. ტაკასი კატო და იოხირო აიბა, უკანასკნელ უნივერსიადაზე გამარჯვებულნი აკინორი, ნაკაიამა და ტომიხირო ხირაი, აგრეთვე ცნობილი ტანმოვარჯიშე მასაიუკი ვატანაბე. იაპონიის ქალთა ნაკრებში მხოლოდ სამ სპორტსმენს აქვს საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება: ტაკი სიბუიას, ტონიკო ნაკამურას და სასიკო ხარას.

საბჭოთა გუნდი თავის ძირითად მეტოქესთან შეხვედრაში მეტად „გაახალგაზრდავებული“ შემადგენლობით გამოვა. ტანმოვარჯიშეთა შორის არიან ტაშკენტელი ს. დიამიდოვი, მოსკოველები ვ. ლეონტიევი, ვ. კერდემელიდი, ვ. მედვედევი და მ. ვორონინი. წვრთნის დროს ტრავმა მიიღო და ალბათ მონაწილეობას ვერ მიიღებს ი. ცაპენკო. მას შეცვლის ან მოსკოველი ვ. სოშინი, ან დნეპროპეტროვსკელი ი. ტარასიუკი. ქალთა გუნდში გამოცდილ პ. ასტახოვასთან ერთად ფიცარნაგზე გამოვლენ 23 წლის გროდნოელი თ. ალექსეევა და სრულიად ნორჩი ტანმოვარჯიშეები — ლენინგრადელი ნ. კუჩინსკაია, მოსკოველები ზ. დრუჟინინა, გ. ბურუჩევა, ლ. სურმენევა. თადარიგში არიან ტ. ანტონოვა, ა. პოდგურსკაია და ო. ხარლოვა.

უძლიერესთა წინა ორ მატჩში გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ. პირად ჩათვლაში ლაურეატები იყვნენ: 1961 წელს — ლ. ლატინინა და ბ. სტოლბოვი, 1962 წელს — პ. ასტახოვა და იაპონელი ი. ენდო.

მესამე შეხვედრაში სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეებს, რომლებიც ი. ტიტოვის, ლ. ლატინინას (ისინი ამჟამად მეხიკოში იმყოფებიან) და სხვა „ვარსკვლავების“ გარეშე გამოდიან, განზრახული აქვთ ხელახლა მოიპოვონ უპირატესობა საერთო გუნდურ ჩათვლაში.

## სპორტული კალეიდოსკოპი

### ახალი მეტიუზი

ინგლისის ფეხბურთის ასპარეზზე გამოჩნდა ახალი მეტიუზი. მას გვარის გარდა სხვა საერთოც აქვს „ფინტების მეფესთან“. იგი 18 წლისაა და პირველად ითამაშა „ლანკასტერში“ როგორც პროფესიონალმა. სტატისტიკოსებმა მყისვე გაიხსენეს, რომ ს. მეტიუზმაც ამ ასაკში დაიწყო პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა. ახალი მეტიუზიც, ისევე როგორც სტენლი, მარჯვენა გარემარბია.

სპეციალისტების მოწმობით, ახალი მეტიუზი ძალიან ნიჭიერია და მომავალი გვიჩვენებს, შეძლებს თუ არა იგი თავისი წინამორბედის წარმატებათა გამეორებას.

### სად ითამაშებს ეუსებიო?

სულ უფრო დაბეჯითებით ვრცელდება ხმები, რომ ლისაბონის „ბენფიკას“ უძლიერესი თავდამსხმელი ეუსებიო მალე მიატოვებს გუნდს და უცხოეთში გაემგზავრება. სად ითამაშებს იგი?

ამას წინათ „ბენფიკას“ უცნაური წინადადებით მიმართეს მადრიდის „ატლეტიკომ“ და მილანის „ინტერნაციონალემ“. მათ სურთ საერთო თანხით შეიძინონ ეუსებიო. შემდეგ ისინი კენჭს ყრიან, სად უნდა ითამაშოს პირველი სეზონი მათმა საერთო „ქონებამ“. მომდევნო სეზონს კი ეუსებიო „დაზარალებულ“ კლუბში გაატარებს.

## უცხოური იუმორი

### მღვდელი-ფსიქოლოგი

საფეხბურთო კლუბმა „ლიდს იუნაიტედმა“ (ინგლისი) ექიმ-ფსიქოლოგის თანამდებობაზე მიიპატიჟა... მღვდელი. წმინდა მამას დავალებული აქვს მოთამაშეები დიდი ქალაქის ცდუნებისგან იხსნას.

სულის საცხონებელ საუბრებს, ალბათ, ასეთი ხასიათი აქვს: მეკარეს იგი შთააგონებს, რომ სუსტი სქესი თერთმეტმეტრიან საჯარიმო დარტყმაზე უფრო სახიფათოა, ცენტრალურ თავდამსხმელს კი სხვანაირად არწმუნებს:

— იცოდე, შვილო ჩემო, რომ ფეხბურთის კარსა და რესტორნის კარს შორის დიდი განსხვავებაა. უნდა შეაღო მხოლოდ პირველი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



## დოღი

### თბილისის იპოდრომზე

„კოლმეურნის“ პირველობა ცხენოსნობაში.

მონაწილეობენ გალის, გუდაუთის, გულრიფშისა და ზუგდიდის რაიონების საუკეთესო მხედრები.

დასაწყისი 12 საათზე.

### ხვალ

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქართველოს სპორტკავშირის ფიზიკური კულტურის პროპაგანდის ფედერაციების ბიუროს და „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12307